



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 17

ქ. გარდაბანი

26/01/2022

17-06-4-202201261921



გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გიორგი ცოპურაშვილისა და მწვრთნელის იმედა ფრეწუაშვილის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №13 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ივლისის N49 დადგენილების, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2022 წლის 10 იანვრის N411 და 17 იანვრის N5 წერილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენის **გიორგი ცოპურაშვილის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 1600 (ათას ექვსასი) ლარი, და მწვრთნელის - **იმედა ფრეწუაშვილის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 320 (სამას ოცი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს ამ განკარგულებით გათვალისწინებული თანხების დარიცხვა უნაღლო ანგარიშწოდებით, სპორტსმენისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

გიორგი ცოპურაშვილი – 1600 (ათას ექვსასი) ლარი, პ/ნ

იმედა ფრეწუაშვილი – 320 (სამას ოცი) ლარი, 3/5

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

